



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და
ბრძანების ნომერი: 15.10.2018 წელი,
ბრძანება N 91, დანართი N 1.

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის
ლექტორის თანაშემწის
დებულება

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	3
მუხლი 3. ლექტორის თანაშემწის პოზიციის შექმნის მიზანი.....	3
მუხლი 4. ლექტორის თანაშემწის ფუნქციები და პასუხისმგებლობები:.....	3
მუხლი 5. ლექტორის თანაშემწის პოზიციის დასაკავებლად აუცილებელი მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები	4
მუხლი 7. ლექტორის თანაშემწის სამუშაო დრო და ანაზღაურების წესი	5
მუხლი 8. ლექტორის თანაშემწის კონკურსის პროცედურა.....	5
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები	6





მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ლექტორის თანაშემწის დებულებით რეგულირდება ლექტორის თანაშემწის საქმიანობის მიზანი, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, პოზიციაზე არჩევისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, არჩევის წესი და სხვა.
2. ლექტორის თანაშემწის საქმიანობა მოიცავს უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალისთვის თანაშემწეობის გაწევას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ✓ ლექტორის თანაშემწე - ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც ასრულებს ლექტორის დამხმარის მოვალეობას სწავლების კუთხით;
- ✓ ლექტორი - ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც უძღვება სასწავლო ან/და სამეცნიერო საქმიანობას.

მუხლი 3. ლექტორის თანაშემწის პოზიციის შექმნის მიზანი

ლექტორის თანაშემწის პოზიციის შექმნის მიზანია ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შესაძლებლობის მიცემა, ლექტორთა დახმარების პროცესში უკეთ გაეცნონ თემას/საგანს, შეიძინონ სწავლების, კომუნიკაციის, სტუდენტების შეფასების და სხვა უნარები.

მუხლი 4. ლექტორის თანაშემწის ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

- ა) ლექტორის მიერ წარმოდგენილი თემების განხილვა სტუდენტთა მცირე ჯგუფებში, მათ მიერ ამ თემების გაცნობიერების ხელშეწყობა, სწავლის ეფექტიანი მეთოდების თაობაზე რჩევების მიცემა;
- ბ) სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის წესების გაცნობა, მათ მიერ შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- გ) ლექტორის დახმარება მონაცემთა შემოწმებასა და შენახვაში და ა.შ.;
- დ) ლექტორის დახმარება სტუდენტებისაგან სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული უკუკავშირის მისაღებად;
- ე) ლექტორის დახმარება სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის საკითხში;
- ვ) ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
- ზ) ლექტორის ზედამხედველობით და მითითებით სწავლის პროცესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის განხორციელება.



მუხლი 5. ლექტორის თანაშემწის პოზიციის დასაკავებლად აუცილებელი მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები

5.1. ლექტორის თანაშემწის პოზიციის დასაკავებლად სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) საგნის კარგად ფლობა / მაღალი შეფასება საგანში;
- ბ) სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ასევე გარე პირებთან კომუნიკაციის კარგი უნარები, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა;
- გ) ლიდერული უნარები, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების დროული მიღების, სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენისა და მათზე სწრაფი რეაგირების უნარები;
- დ) კარგი ინტერპერსონალური უნარები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან მიმართებაში, შიდა და გარე ურთიერთობების განხორციელების შესაძლებლობები;
- ე) წერის კარგად განვითარებული კულტურა; სხვადასხვა სოციალური და მედია საშუალების გამოყენების ცოდნა (ელ.ფოსტა, ქსელები და ა.შ.);
- ვ) გუნდური მუშაობის უნარი, შეხვედრებში აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა;
- ზ) ორგანიზებულობა, მაღალი მოტივაცია, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- თ) კონსტრუქციული უკუკავშირის უზრუნველყოფის უნარი;
- ი) დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- კ) სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა.

5.2. შერჩევის კრიტერიუმები

ლექტორის თანაშემწის პოზიციაზე დაინიშნება სტუდენტი, რომელსაც:

- გააჩნია აქტიური სტუდენტის სტატუსი;
- მოპოვებული აქვს სულ მცირე 60 კრედიტი;
- აქვს მაღალი შეფასება შესაბამის საგანში;
- მოტივირებულია ლექტორის თანაშემწის მოვალეობის შესრულებისათვის.
- აკმაყოფილებს წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 6. ლექტორის თანაშემწის არჩევის და განაცხადის შეტანის წესი

6.1. ლექტორის თანაშემწის არჩევის მიზნით ცხადდება კონკურსი;

6.2. კონკურსის გამოცხადებიდან განაცხადში მითითებულ ვადაში კონკურსანტი უფლებამოსილია წარმოადგინოს განაცხადი და ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი დოკუმენტები:

- ა) სამოტივაციო წერილი, ესე ახსნა-განმარტებით, თუ რატომ სურთ ლექტორის თანაშემწის პოზიციის დაკავება;
- ბ) რეზიუმე/CV;



გ) 2 სარეკომენდაციო წერილი: შესაბამისი საგნის ლექტორისა და სასწავლო პროცესის მენეჯერისაგან.

6.3. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ, საკონკურსო კომისია განიხილავს საკონკურსო განაცხადებს პროცედურის შესაბამისად და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 7. ლექტორის თანაშემწის სამუშაო დრო და ანაზღაურების წესი

7.1. ლექტორის თანაშემწის პოზიციაზე შერჩევის შემთხვევაში სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება;

7.2. ლექტორის თანაშემწის სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 4 (ოთხი) სამუშაო საათით;

7.3. ლექტორის თანაშემწის პოზიცია არაანაზღაურებადია.

მუხლი 8. ლექტორის ლექტორის თანაშემწის კონკურსის პროცედურა

8.1. კონკურსის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა. პოზიციებზე კონკურსის გამოცხადება;

ბ. საკონკურსო კომისიის ფორმირება;

გ. კანდიდატების წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შეფასება;

დ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

ე. ხელშეკრულების ხელმოწერა.

8.2. განაცხადის წარდგენა:

განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ელექტრონულად, მოთხოვნილი დოკუმენტების სრული პაკეტით. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ოფიციალურ ელ.ფოსტის მისამართზე: (studentinfo@eu.edu.ge)

8.3. განაცხადის უარყოფა:

მედიცინის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე უარყოს კანდიდატის განაცხადი, თუკი იგი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, არასრულია ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

8.4. საკონკურსო კომისია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

ა. ფაკულტეტის დეკანი;

ბ. ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი;

გ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

დ. სასწავლო კურსის ლექტორი.



მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

9.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებები და დამატებები შედის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

